პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების და ინგლისურ ენაში - დონე B2. ინგლისური ენის B2 დონის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში მსურველები თავისუფლდებიან აღნიშნული გამოცდიდან). შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის ვებგვერდზე http://gtu.ge/Study-Dep/ გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის მიზანია:

- ✓ შეასწავლოს სტუდენტს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპების დაცვით ორგანიზაციების ფუნქციონირების, დაგეგმვის, ხელმძღვანელობისა და მუშაობის მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული საკითხები;
- ✓ აღჭურვოს სტუდენტი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი, კონკურენტუნარიანი, ინოვაციური და კრეატიული იდეების განვითარებაზე ორიენტირებული, ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში ოპტიმალური მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების, პრაქტიკული, სამეცნიერო და შემოქმედებითი მუშაობის უნარებით.

სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

ფლობს ციფრულ ეპოქაში ბიზნესის ადმინისტრირების თანამედროვე მიდგომებს, მმართველობითი გადაწყვეტილებების მომზადებისა და მიღების, მათი რეალიზაციის სოციალური, ორგანიზაციული, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა შედეგების შეფასების ღრმა და სისტემურ ცოდნას, პრაქტიკულ უნარებსა და შესაძლებლობებს, საკუთარი თვალსაზრისის არგუმენტირებულად დაცვის და ბიზნესის მართვის ფუნქციების რეალიზაციის სპეციფიკას;

ორგანიზაციის ეფექტიანად მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით, **განსაზღვრავს** ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგიებს, საწარმოს მიწოდების ჯაჭვის სტრუქტურას;

შეუძლია ბიზნეს-პროცესების მართვით, მეცნიერული ანალიზის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მეთოდების გამოყენებით, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციის საფუძველზე ბიზნეს-პროცესების მოდელირებ;

სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობის საფუძველზე ბიზნესის მართვის პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნით **ახდენს** არსებული პრობლემების იდენტიფიცირებასა და მათი გადაჭრის გზების დაგეგმვას, როგორც ლოკალური ასევე, საერთაშორისო მასშტაბით;

სიახლეების ეფექტიანობის შეფასების მიზნით **შეუძლია** საწარმოს ინოვაციურ და საინვესტიციო შესაძლებლობებთან დაკავშირებით ახალი და რთული იდეების ანალიზი;

ახორციელებს ორგანიზაციის განსხვავებული ბიზნეს-მოდელებისთვის დამახასიათებელი ნიშნების (მათ შორის სტრატეგიული მენეჯმენტის, კორპორაციული ფინანსების, მარკეტინგის მენეჯმენტის, საგადასახადო პოლიტიკის და ა.შ.) სისტემატიზაციას, სხვადასხვა ნიშან-თვისებებით ინტეგრირება-შეფასებას, შესასრულებელ ქმედებებზე რეკომენდაციების შემუშავებასა და შესაძლო შედეგების პროგნოზირებას;

საკუთარი ინტელექტუალური და კულტურული უნარების გამოყენების საფუძველზე **ავლენს** პროფესიული განვითარების, თვითგანვითარების, თვითრეალიზაციისა და შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზაციის მზადყოფნის, ასევე პროფესიული კარიერის დაგეგმვის უნარს;

ქართველი და უცხოელი მკვლევარების მიერ მიღებული შედეგების განზოგადებისა და კრიტიკული შეფასების, აქტუალური პრობლემების გამოვლენისა და ფორმულირების საფუძველზე **ამზადებს** არგუმენტირებულ დასკვნებსა და პრეზენტაციებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე;

გამოიმუშავებს უცნობ ან მულტიდისციპლინარული გარემოში უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელებისა და გუნდური მუშაობის პროცესში ლიდერობის,

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.
დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- FX-ის მიღების შემთხვევაში ინიშნება დამატებით გამოცდა, შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულას.

დეტალური ინფორმაცია მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურის დებულება https://gtu.ge/Learning/debuleba_magistraturis_sesaxeb.php

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქცია https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/sasw_proc_marTvis_inst_1407_22_SD.pdf		
სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით		
№	**სავალდებულო სასწავლო კურსები**	**კრედიტი**
1.	მენეჯერული ეკონომიკა	5
2.	კვლევის მეთოდები ბიზნესში	5
3.	მეწარმეობა და საწარმო	5
4.	მარკეტინგის მენეჯმენტი	5
5.	ბიზნესის კონკურენტუნარიანობა და მართვა	5
6.	მიწოდების ჯაჭვის მართვა	5
7.	კრეატიული მენეჯმენტი	4
8.	რეკლამა და პრომაცია	5
9.	კორპორაციული ფინანსები	6
10.	ინოვაციური მენეჯმენტი	5
11.	საგადასახადო პოლიტიკა	5
12.	ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა	5
13.	სტრატეგიული მენეჯმენტი	5
14.	მმართველობითი (შიდა) აუდიტი	4
15.	საწარმოო პრაქტიკა ბიზნესის ადმინისტრირებაში	6
	არჩევითი საგნები	
16.	ბიზნესის მოდელირება	5
17.	ციფრული ბიზნესის მარკეტინგი	5
18.	ფინანსური ანგარიშგება	5
19.	საერთაშორისო მენეჯმენტი	5
20.	ფინანსური მოდელირება და აუდიტი	5
21.	ბრენდის მენეჯმენტი	5
22.	დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური ენა)	5
23.	ხარისხის მენეჯმენტი	5
24.	რისკოლოგია	5
25.	ბიზნესის უსაფრთხოება	5
26.	ბიზნესის ანალიზის სტატისტიკური მეთოდები	5
27.	გაყიდვების მენეჯმენტი	5
	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	30